

ვ ა ა ტ ა კ ო ბ ა ლ ა ქ ე

**პროკურორი**  
**როგორც სახელმწიფო ბრალმძებელი**



**თბილისი, 2018**  
**გამომცემლობა „იურისტების საფარო“**

## რედაქტორები:

ირაკლი გაბისონია      საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტის იურიდიული  
ფაკულტეტის დეკანი,  
სამართლის დოქტორი, პროფესორი

ვეფხვია გვარამია      სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
იურიდიული ფაკულტეტის დეკანი,  
სამართლის დოქტორი, პროფესორი



წიგნი გამოცემულია საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტისა და საერთაშორისო ურთიერთობების  
ფაკულტეტის მიერ დამტკიცებული სამეცნიერო პროექ-  
ტის “საგამოძიებო სამართლის” ფარგლებში

- © პაატა კობალაძე, 2018
- © გამომცემლობა “იურისტების სამყარო”, 2018



გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

თბილისი, მ. კოსტავას №75; 0171

ტელ.: (+995 032) 238 35 99; (+995) 557 51 51 34

ვებ-გვერდი: [www.law.ge](http://www.law.ge)

ელ-ფოსტა: [Info@law.ge](mailto:Info@law.ge)

[www.facebook.com/PublishingWorldofLawyers](https://www.facebook.com/PublishingWorldofLawyers)

ISBN 978-9941-9607-2-7

საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (შემოკლებით – სსსკ) გამოირჩევა რამდენიმე ძირითადი **საკანონმდებლო სიახლით**, რომელიც შეეხება საგამოძიებო და სასამართლო პროცედურების გამარტივებას, სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებს, სისხლისსამართლებრივ დევნას, სასამართლოსა და პროკურატურის უფლებამოსილებათა ახლებურ გააზრებას, დაზარალებულის სტატუსს, მონმისა და დამსწრე პირის უფლებებს, საპროცესო იძულების და აღკვეთის ღონისძიებებს, წინასასამართლო სხდომას, სიახლეებს განაჩენის გასაჩივრების პროცედურაში და სხვ.

**უმთავრესი კი**, ქართული სამართლებრივი სივრცისათვის თვისობრივად ახალი, **სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის ნოვატორული პროცედურაა**, რაც **ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის** შემოღებას გულისხმობს, რომელიც, იმედია, დადებით გავლენას მოახდენს სამართლიანი და ობიექტური მართლმსაჯულების განხორციელებაზე.

**მონოგრაფიის** დამუშავებისა და **გამოცემის მიზანი** სწორედ ისაა, რომ გაზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, პროკურორის ფუნქციებისა და საქმიანობის სხვადასხვა ასპექტები **ახლებურ მიდგომას, შესწავლას და გაანალიზებას მოითხოვს, მათ შორის – სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის კუთხითაც.**

ავტორი სიამოვნებით მიიღებს და გაითვალისწინებს ნაშრომის ირგვლივ გამოთქმულ ყველა სამართლიან შენიშვნას.

**პაატა კობალაძე,**  
**პროკურორი,**  
**სამართლის დოქტორი,**  
**სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის**  
**ასოცირებული პროფესორი**

## შინაარსი

ავტორის წინათქმა.....	
შესავალი.....	
თავი I. პროკურატურის ჩამოყალიბება და თანამედროვე სტატუსი.....	
თავი II. სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ინსტიტუტი და მისი ისტორია.....	
თავი III. სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა, როგორც სისხლის სამართლის საპროცესო ფუნქცია; მისი არსი და მნიშვნელობა.....	
თავი IV. პროკურორის მონაწილეობა წინასასამართლო სხდომაში.....	
თავი V. სახელმწიფო ბრალმდებელი პირველი ინსტანციის სასამართლოში.....	
თავი VI. პროკურორის საბრალდებო სიტყვა; მისი სტრუქტურა და ზნეობრივ-ეთიკური საკითხები.....	
თავი VII. პროკურორის უარი ბრალდებაზე და მისი სამართლებრივი შედეგები.....	
თავი VIII. სახელმწიფო ბრალმდებელი საქმის სააპელაციო და საკასაციო განხილვის სტადიებზე.....	
თავი IX. სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა პროკურორის სხვა საპროცესო ფუნქციებთან მიმართებით.....	
<b>გამოყენებული ლიტერატურა:</b>	
I. ნორმატიული აქტები და საცნობარო წყაროები.....	151
II. სპეციალური ლიტერატურა.....	153

## ავტორის წინათქმა

**სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა**, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სისხლის სამართლის საპროცესო ფუნქცია, და ამავე დროს, საქართველოს პროკურატურის რთული, მრავალფეროვანი და საპასუხისმგებლო საქმიანობა – არაერთხელ გამხდარა თეორეტიკოს-პროცესუალისტთა და პრაქტიკოს იურისტთა მსჯელობის საგანი. პროკურატურის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებისა და მისი ცალკეული პრობლემების, ისტორიული როლისა და დანიშნულების, სტატუსისა და ორგანიზაციის საკითხების, სახელმწიფო ხელისუფლების სისტემაში მისი ადგილისა თუ სასამართლო რეფორმების განხორციელების მიმართულებების შესახებ კონცეფციები გარკვეულწილად გაშუქებულია და დამუშავებულია ქართველი და უცხოელი მეცნიერების მიერ. მაგრამ გასული საუკუნის 40-70-იან წლებში რუსეთში გამოქვეყნებული სამიოდე ავტორის (მ. შიფმანი, ვ. სავიცკი, ვ. ბასკოვი) მონოგრაფიათა გარდა, იურიდიულ ლიტერატურაში არ მოიპოვება არცერთი ფუნდამენტალური გამოკვლევა, რომელიც სრულად და ამომწურავად გააანალიზებდა **კონკრეტულად სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის** დამოუკიდებელი ფუნქციის უმნიშვნელოვანეს ასპექტებს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დასახელებულ ავტორთა შრომებში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა ძირითადად გაშუქებულია აბსოლუტურად სხვა, **სოციალისტური სამართლებრივი სისტემის პირობებში**, საბჭოური კანონმდებლობისათვის დამახასიათებელი „ზედამხედველობის“ ფუნქციის ჭრილში და მასში მოაზრებით.

რაც შეეხება **საქართველოს**, გარდა ამ ფუნქციის ზოგიერთი ასპექტისადმი მიძღვნილი ცალკეული სტატიებისა თუ პუბლიკაციებისა (რაც ამკარად არასაკმარისია საკითხის ძირეულად გამოკვლევისათვის), სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციის – სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის – **მეტ-ნაკლები სისრულით შემსწავლელი** და გამშუქებელი მონოგრაფიული, სასწავლო, სადისერტაციო ან სხვა **სოლიდური ნაშრომი** საერთოდ არ მოიპოვება; ამდენად, **წინამდებარე გამოკვლევა** ამ სფეროში, მოქმედი სისხლის სამართლის სა-

პროცესო კოდექსის პირობებში (და, ამასთან, ახალი საპროცესო კოდექსის მიღების შემდეგ) **პირველი ნაბიჯის გადადგმად შეიძლება ჩაითვალოს.**

უნდა აღინიშნოს, რომ **ბრალდების ფუნქცია** ზოგადად, და სასამართლოში სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა, – მეტად ვრცელი და მრავალფეროვანი საპროცესო საქმიანობაა. მასში ასახვას პოულობენ სისხლის სამართალწარმოების ძირითადი ფორმები და ინსტიტუტები, რომელნიც არსებობენ ბრალდებასთან მჭიდრო კავშირში. ბრალდების (და, მასთან ერთად, სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის) მრავალნახნაგოვანი ფუნქციის გამოკვლევა ნიშნავს სისხლის სამართალწარმოების მამოძრავებელი ძალის, ძირითადი ბაზისის სრულყოფილ შესწავლას, რომელზეც იგებიან და იშლებიან სისხლის სამართლის პროცესის სხვა ფუნქციები, რა დროსაც ანალიზი უნდა გაუკეთდეს სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ყველაზე ძირითად, არსებით მხარეებს, ფორმებს და განხორციელების საშუალებებს, განხილული და შეფასებული უნდა იქნას რთული სადისკუსიო თემები და კონცეფციები, რაც ჭეშმარიტების დადგენის ერთ-ერთი ხელშემწყობი პირობაა.

**წინამდებარე მონოგრაფიულ ნაშრომში მიზნად ვისახავთ,** გადმოვცეთ სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ინსტიტუტის ზოგადი დებულებები, პროკურატურის, როგორც ამ ფუნქციის განმახორციელებელი ერთადერთი სუბიექტის ურთიერთობა სასამართლოსთან და პროცესის სხვა მონაწილეებთან, პროკურატურის ადგილი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა სისტემაში. გარდა აღნიშნულისა, ნაშრომში გაშუქებულია სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ფუნქციის არსი და მისი მნიშვნელობა, მისი ისტორია და დღევანდელი, საპროცესო საქმიანობათა ურთიერთმიმართება, ბრალდებაზე უარის არსი და მისი სამართლებრივი შედეგები, პროკურორის საბრალდებო სიტყვის სტრუქტურა და მისი ზნეობრივ-ეთიკური საკითხები, პროკურორის (სახელმწიფო ბრალმდებლის) სტატუსი და უფლებამოსილება სისხლის სამართლის საქმის პირველ, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში განხილვის პროცესში, აგრეთვე კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადასინჯვის სტადიაზე.

სახელმწიფო ბრალმდებლის საპროცესო მდგომარეობიდან გამომდინარე ნაშრომში ხაზი აქვს გასმული პროკურორის საქმიანობის განხორციელების კონკრეტულ ფორმებს: მტკიცებულებათა წარმოდგენა-გამოკვლევას, შუამდგომლობების აღძვრას, მოსაზრებათა გამოთქმას, მხარეთა კამათში მონაწილეობას, საჩივრების აღძვრა-შეტანას, მათ განხილვაში მონაწილეობას სათანადო საპროცესო ფორმით და ა.შ.

მითითებული საკითხების წარმოჩენა მით უფრო **აქტუალურია** თანამედროვე პირობებში, ბოლო წლებში საქართველოში დაწყებული და გატარებული **სამართლებრივი რეფორმის** ფონზე, რომლის ერთ-ერთ ქვაკუთხედს **სასამართლოსა და პროკურატურის ინსტიტუციურ-სტრუქტურული სრულყოფა**, აგრეთვე **სისხლის სამართალწარმოების პროცედურის მნიშვნელოვანი ცვლილებები** წარმოადგენს, დამაგვირგვინებელი ეტაპი კი - **ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის** შემოღებაა.

1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციამ ახლებურად ჩამოაყალიბა საქართველოს პროკურატურის სტატუსი და უფლებამოსილება, ადგილიმიუჩინა მას სასამართლო ხელისუფლების სისტემაში და განსაზღვრა მისი ფუნქციები.

საქართველოს პროკურატურის სტრუქტურის, ორგანიზაციისა და ამოცანების შემდგომი მოწესრიგება-სრულყოფა უკავშირდება, ჯერ 1997 წლის 21 ნოემბრის ორგანულ კანონს, შემდგომ კი **2008 წლის 21 ოქტომბრის (ამჟამად მოქმედ) კანონს „პროკურატურის შესახებ“**, რომლის მიხედვით საქართველოს პროკურატურა (შემდგომში – პროკურატურა) არის **საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება**, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში. ამავე კანონით განისაზღვრა **პროკურატურის სტატუსი სასამართლოში** სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას: **პროკურორი სასამართლოში გამოდის როგორც მხარე და მხარს უჭერს სახელმწიფო ბრალდებას.**

პროკურატურის აღნიშნული ფუნქცია აისახა და კიდევ უფრო დაკონკრეტდა 1998 წლის 20 თებერვალს მიღებულ და 1999 წლის

15 მაისიდან ამოქმედებულ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, თუმცა მისმა შემქმნელებულ ვადებში მიღებამ სამართლის თეორიასა და სამართალდამცავ ორგანოთა (მათ შორის პროკურატურის) პრაქტიკას მრავალი სამართალგამოყენებითი პრობლემა შეუქმნა. მხედველობაში გვაქვს ბოლო წლების განმავლობაში კოდექსში შეტანილი ასეულობით ცვლილება, რის მიუხედავად ამ პროცესს იგი დღემდე საჭიროებდა, ვინაიდან პროკურორის მიერ სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის განხორციელების მიმართებით (და არა მარტო ამ ასპექტში) საპროცესო კოდექსი მრავალ საკანონმდებლო ხარვეზს შეიცავდა.

სამართლებრივი რეფორმის ფარგლებში **2009 წლის 9 ოქტომბერს მიღებული იქნა** თვისობრივად **ახალი**, დემოკრატიული, ჰუმანური და უთუოდ პროგრესული (წინამორბედთან შედარებით) კოდიფიცირებული აქტი **სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, რომელიც ამოქმედდა 2010 წლის 1 ოქტომბრიდან.**

საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (შემოკლებით – სსსკ) გამოირჩევა რამდენიმე ძირითადი **საკანონმდებლო სიახლით**, რომელიც შეეხება საგამოძიებო და სასამართლო პროცედურების გამარტივებას, სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებს, სისხლისსამართლებრივ დევნას, სასამართლოსა და პროკურატურის უფლებამოსილებათა ახლებურ გააზრებას, დაზარალებულის სტატუსს, მონმისა და დამსწრე პირის უფლებებს, საპროცესო იძულების და აღკვეთის ღონისძიებებს, წინასასამართლო სხდომას, სიახლეებს განაჩენის გასაჩივრების პროცედურაში და სხვ.

**უმთავრესი კი**, ქართული სამართლებრივი სივრცისათვის თვისობრივად ახალი, **სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვის ნოვატორული პროცედურაა**, რაც **ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის** შემოღებას გულისხმობს, რომელიც, იმედია, დადებით გავლენას მოახდენს სამართლიანი და ობიექტური მართლმსაჯულების განხორციელებაზე.

**მონოგრაფიის** დამუშავებისა და **გამოცემის მიზანი** სწორედ ისაა, რომ გაზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინ-



ნებით, პროკურორის ფუნქციებისა და საქმიანობის სხვადასხვა ასპექტები **ახლებურ მიდგომას, შესწავლას და გაანალიზებას მოითხოვს, მათ შორის – სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის კუთხითაც.**

ავტორი სიამოვნებით მიიღებს და გაითვალისწინებს ნაშრომის ირგვლივ გამოთქმულ ყველა სამართლიან შენიშვნას.

**პაატა კობალაძე,  
პროკურორი,  
სამართლის დოქტორი,  
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი**

## შესავალი

### (რა თეზისებია წამოყენებული ნაშრომში)

საქართველოში, როგორც პოსტსოციალისტურ ქვეყანაში, დამოუკიდებლობის აღდგენისა და დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის გარდამავალი ეტაპი თავისთავად მრავალი კრიმინოგენური (განსაკუთრებით, გასული საუკუნის 90-იან წლებში), სოციალურ-პოლიტიკური თუ სამართლებრივი სიძნელეებით ხასიათდებოდა. ერთ-ერთ მნიშვნელოვან დაბრკოლებას დანაშაულის მზარდი მასშტაბები ქმნიდა, რომლის წინააღმდეგ ბრძოლას (მიუხედავად უკანასკნელ პერიოდში დანაშაულობასთან ბრძოლის გააქტიურებისა და დანაშაულის რიცხვის კლებისა) საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მრავალ სხვა ფაქტორთან ერთად, განსაკუთრებული სისტემურ-კომპლექსური მიდგომა, სამართალდამცავ ორგანოთა სწორი ორგანიზაციულ-სტრუქტურული მოწყობა, მათი მაღალი პროფესიონალიზმი და სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა ესაჭიროება.

საქართველოში **დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრში** განსაკუთრებული პროცესუალური ფიგურა – **პროკურორი** დგას, რომელიც, გარდა სისხლის სამართლის პროცესის სასამართლომდელ სტადიებზე დაკისრებული (და სხვა არასაპროცესო) ფუნქციებისა, თავისი და მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანდასახულად და კომპეტენტურად უზრუნველყოფს წინასწარი გამოძიების სტადიაზე პირისადმი წაყენებული ბრალდების მხარდაჭერას სასამართლოში, ამასთან, იგი ამ საქმიანობას ახორციელებს **სახელმწიფოს მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, სახელმწიფოს სახელით და მისივე ინტერესების შესაბამისად.**

უნდა აღინიშნოს, რომ **პროკურორის საპროცესო საქმიანობა თავის აპოგეას სწორედ სასამართლოში აღწევს**, რადგან სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში განხილვისა და განაჩენის დადგენის სტადია, როგორც მართლმსაჯულების განხორციელებისა და საქმეზე ქვეყნარტების დადგენის ყველაზე ეფექტური საშუალება, სამართლიანადაა მიჩნეული სისხლის სამართლის პროცესის **ცენტრალურ, უმნიშვნელო-**